ფონდი „სოხუმის“ მიერ პროექტის „ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა ადგილობრივ დონეზე თანაბარი, ინკლუზიური და დემოკრატიული მმართველობის ადვოკატირებისთვის“ ფარგლებში იმერეთისა და გურიის ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის საკონსულტაციო სერვისის გაწევის მოკლე ანგარიში.

2018 წლის თებერვლიდან ივლისის ჩათვლით ფონდი „სოხუმის“ საკონსულტაციო ჯგუფმა, 5 ადამიანის შემადგენლობით 15 მუნიციპალიტეტში (12 იმერეთის, 3 გურიის) ჩაატარა მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობების გენდერული პოლიტიკის, ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობის ორგანიზაციის კუთხით. ჩატარებულ საქმიანობაში აქტიურად იყო გამოყენებული ფონდი „სოხუმის“ სტრატეგიული გზამკვლევი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის „გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვა მუნიციპალიტეტებში“.

არსებული სიტუაციის მოკლე ანალიზი: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თანდათან ითავისებენ გენდერული პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული საკითხების არსს. ამას ხელს უწყობს მაღლა მდგომი ორგანოების ინსტრუქციები, განსაკუთრებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსი, რომლის 2018 წლის რეკომენდაციის საფუძველზე იმერეთისა და გურიის ყველა მუნიციპალიტეტმა შექმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, დაამტკიცა საბჭოს დებულება (დარჩენილ მუნიციპალიტეტში - ვანის საკრებულოში ახლო მომავალში იგეგმება გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცება).
იმერეთისა და გურიის მუნიციპალიტეტების ნაწილმა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით დაიწყეს მუშაობა ადგილობრივი გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუქციაში მითითებული იყო, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმა, არამედ უნდა ყოფილიყო მუნიციპალიტეტის გეგმა, რამდენიმე მუნიციპალიტეტმა (ქუთაისი, წყალტუბო) შეიმუშავა და დაამტკიცა გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმა. ამჟამად ამ გეგმებზე დაყრდნობით მიმდინარეობს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავება. ხარაგაულის, სამტრედიის, ქუთაისის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ჭიათურის, ხონისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებმა ფონდი „სოხუმის“ მიერ მიიღეს კონსულტაციები უკვე არსებული გეგმების პროექტებზე, რომლებზე მუშაობაც მიმდინარეობდა კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. ვანის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ბაღდათის, საჩხერისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებმა კი სამოქმედო გეგმებზე მუშაობა დაიწყეს ფონდ „სოხუმთან“ მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სრულყოფდნენ გეგმას.

გენდერული თანასწორობის საბჭოების მიმოხილვა: გენდერული თანასწორობის საბჭოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც წევრთა რაოდენობის (7-იდან 30-მდე), ასევე შემადგენლობის მიხედვით (არის საბჭოები, რომლებშიც რამდენიმე კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციაა. არის საბჭოები, რომლებშიც

საერთოდ არ არის არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების წარმომადგენელი. ფონდი „სოხუმის“ რეკომენდაციის შემდგომ მიდის მუშაობა შემადგენლობაში ცვლილების შესატანად). უმეტესად საბჭოში შედიან საკრებულოს წევრები, ასევე მერიის სამსახურების წარმომადგენლები. ორი მუნიციპალიტეტის (ტყიბული, ხონი) შემადგენლობაში შევიდა ადგილობრივი სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლები. ეს გადაწყვეტილება არის შედეგი მოწყვლადი ჯგუფებისათვის სერვისების მიმწოდებელ სტრუქტურებთან თანამშრომლობით მიღებული პოზიტიური გამოცდილებისა, რაც გენდერულად სენსიტიური მიდგომაა.

მუშაობამ გვაჩვენა, რომ საბჭოს მრავალრიცხოვნობა ხელს უშლის მის მობილურობას. გადა ამისა გამოიკვეთა გამოწვევები - გენდერული განათლების აუცილებლობა და გენდერული პოლიტიკის, როგორც სოციალური ბალანსის პოლიტიკის, სარგებელის გააზრების აუცილებლობა. საბჭოების ცალკეული წევრების მიერ ფიქსირდებოდა ნიჰილისტური დამოკიდებულება: რამდენად პროდუქტიული შეძლება იყოს საბჭოს მუშაობა, რაზე შეიძლება მოახდინოს გავლენა? ასევე გამოიკვეთა გენდერულად სენსიტიური მიდგომების აქტუალურობის, გენდერული ბიუჯეტირების, მისი სპეციფიკის საკითხის ვერგააზრება.

სახეზეა გენდერული საბჭოების ინსტიტუციური გაძლიერების და მისი წევრების გენდერული განათლების უზრუნველყოფის აუცილებლობა. აქ გამოიკვეთა სხვადასხვა სასტარტო პოზიცია: ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მიდის დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა - რა ფორმა შეიძლება შემუშავდეს გენდერული სტატისტიკის ბაზებისათვის, რა ტიპის ინფორმაცია უნდა იყოს თავმოყრილი, ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ინფორმაციის შეგროვებაზე და მის ხელმისაწვდომობაზე, ან როგორ უნდა დაინერგოს საჭიროებების კვლევის, გენდერული მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, როგორ გამოიყენონ მიღებული შედეგები გენდერული ბიუჯეტირების და კონკრეტული გენდერული პროგრამების დანერგვისათვის. მაგრამ რიგ მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ არის სამუშაო იმისთვის, რომ გასაგები იყოს გენდერული პოლიტიკის მნიშვნელობა.

თანდათან იზრდება იმის გააზრება, რომ აუცილებელია საბჭოს მუშაობაში ჩართული იყვნენ თვითმმართველობაში ოპერატიულ პროცესებზე პასუხისმგებელი ადამიანები: ფინანსისტები, იურისტები. მათმა მონაწილეობამ შეხვედრებში ნათელი მოფინა ბიუჯეტირების პროცესში კონკრეტულ მიმართულებებს, ადგილობრივი პოლიტიკის დოკუმენტების ჰარმონიზაციის აუცილებლობას.

გენდერული მრჩევლის/ადგილობრივ გენდერულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირების ინსტიტუტი: გენდერული თანასწორობის მექანიზმი, გარდა გენდერული საბჭოებისა, არის გენდერული მრჩევლების ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ მექანიზმს და გენდერულ საბჭოებთან კოორდინაციით გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის დანერგვის პროცესში, ადგილებზე გენდერული საჭიროებების შესწავლაში არის ჩართული. ამ ეტაპზე მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში არ არის გენდერული მრჩეველი - ჭიათურასა და ლანჩხუთში (ჭიათურაში გამოცხადებულია ვაკანსია, ხოლო ლანჩხუთში საბჭომ საკრებულოზე წამოაყენა საკითხი გენდერული მრჩევლის შტატის გამოყოფის შესახებ). სხვა

მუნიციპალიტეტებში ან არის მრჩევლის შტატი, ან მერიაში გამოყოფილია საკითხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ითავსებს ამ პასუხისმგებლობას (მუნიციპალიტეტები: ხონი, ქუთაისი, ოზურგეთი, საჩხერე, სამტრედია, ვანი, ზესტაფონი, ჩოხატაური). პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცალკეული შტატის არსებობა პირდაპირპროპორციულია პროდუქტულ მუშაობასთან, ინიციატივებთან და კონკრეტულ ღონისძიებებთან. მუნიციპალიტეტები, რომლებშიც გამოყოფილია გენდერული მრჩევლის შტატი, ბევრად უფრო წინ არიან სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით(წყალტუბო, ხარაგაული, ბაღდათი, თერჯოლა, ტყიბული).
მუნიციპალიტეტებთან მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ გენდერულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირები როგორც მერიაში, ასევე საკრებულოშიც იყვნენ დანიშნულნი. ასეთი მუნიციპალიტეტებია: წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, სამტრედია, ბაღდათი, ვანი, ჩოხატაური, ზესტაფონი (ჭიათურის მუნიციპალიტეტში მერიის ვაკანსიის შევსების შემთხვევაში იქნება ასეთივე სიტუაცია). კარგი კომუნიკაციის და ოპტიმალურად დანაწილებული პასუხისმგებლობების შემთხვევევაში ეს საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ კარგი თანამშრომლობა შედგეს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის, იქმნება უფრო დიდი სივრცე დიალოგისთვის.

გენდერული მეინსტრიმინგის საკითხზე მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება - გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის კუთხით ჩატარებული მუშაობის შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, ვრცელდება მუნიციპალიტეტების ოფიციალური საიტების მეშვეობით. ამ დროისთვის საკუთარი ფეისბუქგვერდები აქვთ ბაღდათის, ხარაგაულის, ლანჩხუთის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ პირადი ფეისბუქგვერდები ბევრად განსაზღვრავს გენდერული საბჭოების პოპულარიზებას და ცნობადობას. ღონისძიებები - გენდერული პოლიტიკის ხელშესაწყობად, გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობის შესახებ ინფორმაცია ხშირად ხვდება გენდერული პოლიტიკის სფეროში ინტერნეტ-სააგენტოს გვერდზე „თვითმმართველობების დრო“. ბიუჯეტისთვის ინოვაციური გენდერული პროგრამები ფართო გამოხმაურებას პოულობენ.

გენდერული თანასწორობის საბჭოების ფორმატში თანამშრომლობა - ფონდ „სოხუმთან“ მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ წყალტუბოს, ქუთაისის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, თერჯოლის მუნიციპალიტეტებს, სადაც ფონდის წარმომადგენლები ოფიციალურად არიან გენდერული საბჭოების წევრები. შეხვედრების ჩატარების პროცესში გაფორმდა მემორანდუმი ბაღდათის მუნიციპალიტეტთან და შემუშავების პროცესშია მემორანდუმები ტყიბულის, თერჯოლის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებთან.

მუშაობის პროცესში გამომჟღავნებული კონკრეტული შედეგები: გარდა იმისა, რომ ინტენსიური მუშაობა მიდის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გემაზე, რომელზეც მუნიციპალიტეტები მუშაობენ ფონდი „სოხუმისა“ და სხვა კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების კონსულტაციების გამოყენებით, უკვე შეიძლება საუბარი ადგილებზე გენდერული პოლიტიკის რეალიზაციაზე: რიგმა მუნიციპალიტეტებმა პირველად დაიწყეს ძალადობის მსხვერპლთათვის

დახმარების პროგრამების დანერგვა. მაგალითად, ხონმა 2018 წლის ბიუჯეტში შეიტანა ცვლილება; ქუთაისში, ჭიათურაში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ზესტაფონსა და სამტრედიაში ეს შედარებით ადრე დაინერგა. დაწყებულია მუშაობა გენდერული სტატისტიკის საწარმობელად. ცალკეული მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმაში არა მარტო გაწერილია კადრების შერჩევის დროს საკონკურსო კომისიაში გენდერული სენსიტიურობის დანერგვა, არამედ უკვე პრაქტიკულად არის გამოყენებული (ტყიბულის მუნიციპალიტეტში). ქუთაისის მუნიციპალიტეტში კიდევ უფრო ადრე დაინერგა მსგავსი მიდგომა. გარდა ამისა, ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელი მიწვეულია კომისიის წევრად. ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობის შედეგად დანერგილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლების (მასწავლებლები, აღმზრდელები, მეთოდისტები, დირექტორები) გადამზადება გენდერისა და ოჯახური ძალადობის საკითხებზე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგების ციკლი სკოლამდელი დაწესებულების პერსონალთან.

ცალკე უნდა იყოს აღნიშნული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ქალთათვის სოციალური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად: ქუთაისსა და ჭიათურაში ეს სერვისი შედარებით ადრე დაინერგა, წყალტუბოში ახლახან გაიხსნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საზაფხულო ჯგუფები. ოზურგეთში უკვე დისკუსია დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სერვისი ურეკის საკურორტო ზონაში მაინც იქნეს დანერგილი, დასაქმებული დედების შრომის შესამსუბუქებლად. საჩხერის მუნიციპალიტეტში გაკეთდა განაცხადი, რომ ეს იქნება პირველი საკითხი, რომელსაც საკრებულოს წინაშე დასვამს საბჭო. ამ საკითხზე დიალოგი სხვა მუნიციპალიტეტებშიც მიმდინარეობს.

ფონდმა „სოხუმმა“ ჩაატარა გარკვეული სამუშაო გენდერული ბიუჯეტისა და გენდერული მიდგომების პოპულარიზაციისათვის, დაგეგმარების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის მნიშვნელობაზე, ადგილობრივი რესურსების მოქალაქეების საჭიროებებისკენ მიმართვის აუცილებლობაზე. წყალტუბოში დაინერგა მონაწილეობითი ბიუჯეტის პრაქტიკა. ადგილობრივმა თვითმმართველობამ დამატებით მოიპოვა 150 000 ლარი და მზადაა, მიიღოს მოსახლეობიდან განაცხადები შესაბამისი პროგრამების განხორციელებისათვის. გენდერული საბჭო ამჟამად ამზადებს რეკომენდაციების პაკეტს პროგრამებში გენდერულად სენსიტიური მიდგომების დასანერგად.

პროექტის დასრულების შემდეგ სამიზნე მუნიციპალიტეტებში საკონსულტაციო სერვისი გენდერული პოლიტიკის კუთხით კვლავ გაგრძელდება. ამის მიზეზია ის, რომ ფონდი „სოხუმის“ მუშაობა საკონსულტაციო სერვისის მიწოდების კუთხით მოთხოვნადი გახდა. არის თხოვნა, რომ მუნიციპალიტეტებს საჭიროების შემთხვევაში ჰქონდეთ ამ სერვისის გამოყენების საშუალება, რაზეც არის მზაობა ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელობის მხრიდან.

ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის დანერგვის დროს გამოვლენილი გამოწვევები ფონდის მიერ ადვოკატირებული იქნება შესაბამის სტრუქტურებში, იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ გენდერულ მეინსტრიმინგს და დაბალანსებულ სოციალურ პოლიტიკას ადგილობრივ დონეზე.